განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 05-07 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27.11.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების სახე	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინსიტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (20.11.2012, გადაწყვეტილება №673)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რომან მამულაძე, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბექა მარუაშვილი, RSM Georgia, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა 2004 წლიდან ფუნქციონირებს. ბოლოს პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წელს. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 20 ნოემბრის #673 გადაწყვეტილებით ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 5 წლის ვადით. სრული პროგრამული კურსი გათვლილია ორ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური შეფასების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი შეფასების მომზადება-ჩაბარებას. სტუდენტებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ენიჭებათ 120 კრედიტის დაგროვების შემდეგ. სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი დაფუძნებულია ECTS (European Credit Transfer System) კრედიტების სისტემაზე. სწავლისა და სწავლების პროცესში გამოიყენება, როგორც სალექციო ისე, სემინარული და პრაქტიკული მუშაობა. პროგრამა ითვალისწინებს: საერთო საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდულის დისციპლინებს - 10 კრედიტი; პროგრამის სავალდებულო მოდულის დისციპლინებს - 40 კრედიტი; პროგრამის არჩევითი მოდულის დისციპლინებს - 20 კრედიტი; პროგრამის თავისუფალი მოდულის არჩევით დისციპლინებს - 10 კრედიტი; პროფესიული პრაქტიკას - 10 კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი. პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდული წარმოდგენილია 8 სასწავლო დისციპლინის სახით. აღნიშნული მოდულის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მინიჭებისათვის ის აუცილებელი კონცეპტუალური უნარჩვევები, რომლებიც საჭიროა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ცალკეული მოდულების ათვისებისთვის.

პროგრამის მოდულების არჩევითობის კომპონენტი წარმოდგენილია 3 მოდულის სახით, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მოახდინოს კონცენტრირება შემდეგი მიმართულებებით: ფინანსები, მენეჯმენტი და ენერგეტიკის მენეჯმენტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 5 და 6 სექტემბერს თბილისში ირინა ენუქიძის ქუჩა №3-ში, ვიზიტამდე წინა დღეს 4 სექტემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, რომან მამულაძე, დავით ბურჯანაძე და ბექა მარუაშვილი) 14 საათიდან და 18 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5 სექტემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ვიცე რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბიზნესის და მართვის სკოლის დეკანის მოადგილე), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია I, III, IV და V სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი; დაწესებულებას ამ მიზნით შეუძლია იხელმძღვანელოს EQUAL (The European Quality Link (EQUAL) სტანდარტებით ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებისათვის;
  - იმისათვის, რომ დაშვების წინაპირობები იყოს შესაბამისი და გამჭვირვალე, დაწესებულებამ უცხო ენის კომპონენტთან დაკავშირებით, პროგრამაში უნდა გააკეთოს ნათელი და ცალსახად ინტერპრეტირებადი ჩანაწერი, თუ რომელი უცხო ენის კომპეტენციით განახორციელებს საგანამანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღებას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა ასეთ ენად განისაზღვროს ინგლისური ენა;
  - სასწავლო კომპონენტის „პროფესიული პრაქტიკა“ გადმოტანილი იქნას მე-3 სემეტრში, ხოლო მე-4 სემესტრი დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას;
  - ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას აღნიშნული კურსის სპეციფიკა;
  - დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს აკრედიტაციის ახალის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების და სწავლის შედეგების შეფასების რუკები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - კარგი იქნება, შრომის ბაზრის კვლევამ მოიცვას არა მხოლოდ უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, არამედ საქართველოს შრომის ბაზარი მთლიანად, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს უკეთესად დაინახოს შრომის ბაზრზე არსებული მიმდინარე მოთხოვნილებები და სამომავლო ტენდენციები, მოთხოვნადი პროფესიები და დეფიციტური სპეციალობები;
  - გაფართოვდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესები და გაიზარდოს მოწვეული უცხოელი ლექტორების საჯარო ლექციები და პროგრამაში ჩართულობა;
  - უნივერსიტეტის მარკეტინგის გააქტიურება უფრო მიმზიდველს გახდის პროგრამას სტუდენტებისათვის, რაც თავის მხრივ გაზრდის მის ფინანსურ მდგრადობას;
  - სასურველია თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული აკადემიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ჩამოუყალიბოს მეცნიერული კვლევის კულტურა, გაუღრმავოს პრობლემების ხედვის/კვლევისა და გადაჭრის ეფექტური/ორიგინალური გზების შემუშავების უნარი, გამოუმუშაოს მულტიდისციპლინარულ გარემოში ადაპტირებისა და ეფექტიანი მოქმედების/ კომუნიკაციის შესაძლებლობა. სამაგისტრო პროგრამა აგებულია მოდულარული პრინციპით, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს კონცენტრირება მოახდინოს ფინანსების, მენეჯმენტის ან ენერგეტიკის მენეჯმენტის საკითხებზე, ღრმად შეისწავლოს ბიზნესის ადმინისტრირების თავისებურებები, მათ შორის ცალკეული მიმართულებების მიხედვით და გააცნობიეროს სოციალურ-ეთიკური ღირებულებები და პასუხისმგებლობი. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. პროგრამის შემუშავებამდე დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც ჩაატარა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურმა. კვლევის მიზანი იყო შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. კერძოდ, საქართველოში შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების იდენტიფიკაცია, მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრა და მასთან კურსდამთავრებულთა/ სტუდენტთა კომპეტენციების თავსებადობის დადგენა, ასევე, იმ პროფესიების დადგენა, რომლებიც მიმდინარე პერიოდში დეფიციტურია ან/და უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელია მათზე მოთხოვნის გაზრდა. კვლევის პროცესში გამოკითხულ იქნა უნივერსიტეტის პარტნიორი 80 კომპანია. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. კვლევის შედეგად

გამოვლინდა, რომ დამსაქმებლების ნახევარზე მეტი კმაყოფილია უნივერსიტეტის მიერ მომზადებული სპეციალისტების კვალიფიკაციით. შრომის ბაზრის კვლევამ ვერ გამოავლინა ვალიდური მაჩვენებლები დეფიციტური პროფესიების და უახლოეს 2-3 წელიწადში კადრებზე მოთხოვნილების ცვლილების შესახებ. ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი მდგომარეობს კვლევის მასშტაბში, ვინაიდან კვლევამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიცვა მხოლოდ უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლები. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარები დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ნაწილში სრულიად ვალიდურია. საგანამანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ძირითადად ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნილებებსა და ტენდენციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ უნივერსიტეტის მისია http://gruni.edu.ge/menu_content/index/266 ○ შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, პრორექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის მოადგილესთან, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ კარგი იქნება, შრომის ბაზრის კვლევამ მოიცვას არა მხოლოდ უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, არამედ საქართველოს შრომის ბაზარი მთლიანად, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს უკეთესად დაინახოს შრომის ბაზრზე არსებული მიმდინარე მოთხოვნილებები და სამომავლო ტენდენციები, მოთხოვნადი პროფესიები და დეფიციტური სპეციალობები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით მოიცავს მეორე საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები ძირითადში პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების რაოდენობა ბევრია, შესაბამისად დგება მათი გაზომვის და შეფასების პრობლემა. მაგ.: ცოდნა გაცნობიერებაში ფორმულირებული სწავლის შედეგები, რომ სტუდენტს *ეცოდინება: „კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების თავისებურებანი ფინანსური ბაზრების გლობალური ტრანსფორმაციისა და ინოვაციური ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში“*, ან *„ბიზნესის რესტრუქტურიზაციის ფინანსური უზრუნველყოფის და კომპანიაზე კონტროლის შესყიდვის სპეციფიკა ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში“* არის ძალინ ზოგადი და რთულია მათი გაზომვა და

შეფასება. შესაბამისად, უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი; დაწესებულებას ამ მიზნით შეუძლია იხელმძღვანელოს EQUAL (The European Quality Link (EQUAL) სტანდარტებით ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებისათვის. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამას თან არ ერთვის პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების და სწავლის შედეგების შეფასების რუკები. პროგრამას გააჩნია პროგრამით განვითარებული დარგობრივი კომპეტენციების რუკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, პრორექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის მოადგილესთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები: უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი; დაწესებულებას ამ მიზნით შეუძლია იხელმძღვანელოს EQUAL (The European Quality Link (EQUAL) სტანდარტებით ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამებისათვის. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს აკრედიტაციის ახალის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების და სწავლის შედეგების შეფასების რუკები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება, თუ როგორ უნდა შემუშავდეს პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები; სწავლის შედეგების ფორმულირებისას არ არის მიზანშეწონილი „სავარაუდოს“ გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველი კანდიდატების უნივერსიტეტის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდებზე დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა, რის შემდეგაც პროგრამაზე ჩარიცხვის პრეტენდენტი აბარებს უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ გამოცდას სპეციალობაში და უცხო ენაში (ინგლისური/გერმანული). ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ყოველი წლის 10 თებერვლამდე, წარადგენს საერთო სამაგისტრო გამოცდებთან დაკავშირებულ ანკეტა-კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამების ანოტაციას. ანალოგიურ ინფორმაციას უნივერსიტეტი განათავსებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც წარმოდგენილია შიდა საუნივერსიტეტო სპეციალობაში გამოცდის საკითხები (საჭირო ლიტერატურის მითითებით), სპეციალობაში და უცხო ენაში გამოცდის ფორმები, ვადები და მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტები.

უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ სერთიფიკატს სტანდარტიზებული ტესტირების შედეგების შესახებ არანაკლებ ALTE B2 დონის შეფასებით ან სწავლობდნენ და აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც სწავლა ხორციელდება **ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე**. აქ შეინიშნება გარკვეული წინააღმდეგობა. კერძოდ, პროგრამაში გაწერილი დაშვების წინაპირობის პირველ აბზაცში უცხო ენის ნაწილში ნათქვამია, რომ აპლიკანტი გამოცდას აბარებს ინგლისურ/გერმანულ ენაში, მეორე აბზაცში კი საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე აპლიკანტები ჩაირიცხებიან ნებისმიერი ევროპული სამეცნიერო ენის ცოდნით.

დასაშვებია პროგრამაზე იმ პირთა მიღება/ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე, რომლებიც:

ა) ცხოვრობდნენ უცხო ქვეყანაში არანაკლებ 2 წლის განმავლობაში და ფლობენ უცხო ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხს და დიპლომს ან სწავლობდნენ უცხო ქვეყნის მაგისტრატურაში;

ბ) ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

მაგისტრანტობის კანდიდატის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, რომელიც გაცემული კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

შესაბამისი პროცედურა, მათ შორის, სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოსვლა, განსაზღვრულია დებულებით „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ", რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა უნივერსიტეტმა მისაღები გამოცდების უცხო ენის ნაწილში გერმანული ენის ჩასმა. ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით ძირითადი სასწავლო მასალები, სამეცნიერო პუბლიკაციები, კვლევის შედეგები ქვეყნდება ინგლისურ ენაზე, ამიტომაც უფრო მიზანშეწონილი იქნება მისაღები გამოცდა უცხო ენაში იყოს მხოლოდ ინგლისური ენა. ამასთან, დაისვა კითხვა რას გულისხმობდა ჩანაწერი ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენა. როგორც აღმოჩნდა დაწესებულება ამაში გულისხმობდა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა
- დებულება „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი"
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gruni.edu.ge/schools/index/1442824984

რეკომენდაციები:

იმისათვის, რომ დაშვების წინაპირობები იყოს შესაბამისი და გამჭვირვალე, დაწესებულებამ უცხო ენის კომპონენტთან დაკავშირებით, პროგრამაში უნდა გააკეთოს ნათელი და ცალსახად ინტერპრეტირებადი ჩანაწერი, თუ რომელი უცხო ენის კომპეტენციით განახორციელებს საგანამანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღებას. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა ასეთ ენად განისაზღვროს ინგლისური ენა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის შესაბამისად. გააჩნია სტრუქტურიზებული ფორმა და მოიცავს **საუნივერსიტეტო**, **დარგობრივ**, **მაპროფილებელ** და **თავისუფალ** - სასწავლო კომპონენტებს. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესებამება უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურს. კერძოდ, პროგრამა გათვლილია ორ აკადემიურ

წელზე, წელიწადში – 38 კვირა. აქედან, 30 კვირა მოიცავს სწავლა/სწავლების პროცესს, 2 კვირა ეთმობა შუალედური გამოცდის მომზადება-ჩაბარებას, ხოლო 6 კვირა - კონსულტაციებს და დასკვნითი გამოცდის მომზადება-ჩაბარებას.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არანაკლებ 120 კრედიტის მოგროვებას. 1 კრედიტი შეიცავს 25 საათს. პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლის საშუალებით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ისე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წელიწადში 60, ნაკლები ან მეტი კრედიტები, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამა ითვალისწინებს:

- საერთო საუნივერსიტეტო სავალდებულო მოდულის დისციპლინებს - 10 კრედიტი;
- პროგრამის სავალდებულო მოდულის დისციპლინებს - 40 კრედიტი;
- პროგრამის არჩევითი მოდულის დისციპლინებს - 20 კრედიტი;
- პროგრამის თავისუფალი მოდულის არჩევით დისციპლინებს - 10 კრედიტი;
- პროფესიული პრაქტიკას - 10 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისებას იწყებენ საუნივერსიტეტო და სავალდებულო პროგრამული დისციპლინების შესწავლით, მეორე, მესამე სემესტრში სტუდენტები ირჩევენ ცალკეულ მოდულებს (ფინანსები, მენეჯმენტი, ენერგეტიკის მენეჯმენტი) და პროგრამის სავალდებულო დისციპლინებთან ერთად მაქსიმალური აკადემიური მოქნილობის პრინციპიდან გამომდინარე ირჩევენ მათთვის სასურველ დისციპლინას პროგრამის თავისუფალი კრედიტების კომპონენტის ბლოკიდან. სწავლების მეოთხე სემესტრში სტუდენტები გადიან პროფესიულ პრაქტიკას და ემზადებიან სამაგისტრო ნაშრომის დაცვისათვის. სამაგისტრო პროგრამაში შემავალი ცალკეული დისციპლინების მიერ მისაღწევი კომპეტენციების ერთიანობა უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის მიხედვით განსაზღვრული დარგობრივი და ზოგადი უნარების გამომუშავებას. სრული პროგრამული ციკლის დასრულების შემდეგ, საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ჩათვლით, სწავლის შედეგების საფუძველზე, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება შესაბამისი ხარისხის დიპლომით.

საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტები „პროფესიული პრაქტიკა“ და „საბაკალავრო ნაშრომი: ჩასმულია მე-4 სემესტრში. სასწავლო პროცესის ასეთმა ორგანიზაციამ შეიძლება შექმნას რიგი გაუგებრობები. გარდა ამისა, პროფესიული პრაქტიკის პროცესში მიღებული უნარები (მათ შორის სტატისტიკური მონაცემები და სხვა ინფორმაცია) სასურველია მაგისტრანტმა ასახოს სამაგისტრო ნაშრომში. პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრის დროს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთავაზებული იქნა აღნიშნული რჩევის გათვალისწინება.

მთლიანობაში, პროგრამის სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული დარგობრივი და ზოგად ტრანსფერული კომპეტენციების მიღწევას - სტუდენტთა პროფესიული და ეთიკური ღირებულებების გააზრებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ○ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gruni.edu.ge/school_menu_content/index/285/1442824984
რეკომენდაციები: სასწავლო კომპონენტის „პროფესიული პრაქტიკა“ გადმოტანილი იქნას მე-3 სემეტრში, ხოლო მე-4 სემესტრი დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. თავის მხრივ თითეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურს. კერძოდ, პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებულია:

- **საერთო საუნივერსიტეტო სავალდებულო** მოდულის დისციპლინების შესწავლის შემდეგ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები დაეუფლებიან საჯარო გამოსვლის, აკადემიური ოპონირების, პედაგოგიური საქმიანობის სპეციფიკას, ანალიტიკური დასკვნების ჩამოყალიბებისა და წარდგენის ოსტატობას. ასევე, კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ ქართული სალიტერატურო ენის, მეტყველების კულტურის, ლოგიკის, არგუმენტაციისა და ორატორული ხელოვნების სინთეზი;
- **პროგრამის სავალდებულო დისციპლინების** მოდულში შემავალი დისციპლინები უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მინიჭებისათვის იმ აუცილებელი კონცეპტუალური უნარჩვევების გამომუშავებას, რომლებიც საჭიროა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ცალკეული კონცენტრაციების ათვისებისთვის;
- **პროგრამის მოდულების არჩევითობის კომპონენტი** წარმოდგენილია 3 მოდულის სახით, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მოახდინოს კონცენტრირება შემდეგი მიმართულებებით: ფინანსები, მენეჯმენტი და ენერგეტიკის მენეჯმენტი. ფინანსების მოდულის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ კომპანიის ფინანსური რესურსების დაგეგმვა, ანალიზი და შეძლონ ამ რესურსების ეფექტიანი მართვა; მენეჯმენტის მოდულის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს იმ ტიპის უნარ- ჩვევები, რომლების საჭიროა თანამედროვე მენეჯერული აზროვნებისათვის; ენერგეტიკის მენეჯმენტის მოდულის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშავოს ენერგო სექტორის სუბიექტების მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- **პროგრამის პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტი** წარმოდგენილია პროფესიული პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის სახით. პროფესიული პრაქტიკის მიზანია სტუდენტებმა საქმიან ურთიერთობებში გამოიყენონ აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, განავითარონ და გააფართოვონ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნა, შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირება და საწარმოთა საქმიანობის მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მიზანია სტუდენტთა მომზადება მაღალკვალიფიციური პროფესიული, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისათვის, სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევის იმ მექანიზმების დაუფლება, რომელიც საჭიროა შესასწავლი პრობლემის იდენტიფიკაციისათვის, მისი გადაჭრის გზების ძიებისათვის და პრაქტიკული ანალიტიკური სამუშაოების დამოუკიდებლად განხორციელებისათვის.

სასწავლო კურსების თითეულ სილაბუსში მითითებულია სავალდებულო ლიტერატურა. თუმცა, სილაბუსებში ძირითადად მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა. ზოგიერთ სილაბუსში მითითებულია აგრეთვე, რომ აღნიშნული სასწავლო მასალები სტუდენტებს მიეწოდებათ ქართულ ენაზე. ზოგიერთ სილაბუსში კი ეს ჩანაწერი არ ფიქსირდება. პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სტუდენტებს აქვთ თავისუფალი წვდომა აღნიშნულ ლიტერატურაზე

დაყრდნობით დამუშავებულ ქართულენოვან მასალებთან. ლიტერატურის არსებობობა ჩვენს მიერ გადამოწმებული იქნა ბიბლიოთეკაშიც, სადაც დადასტურდა აღნიშნული მასალების არსებობა. საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ დასმული იქნა შეკითხვა, თუ რამდენადაა გათვალისწინებული ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში. ჯგუფის წევრებმა დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით და მისცეს რჩევა პროგრამის ხელმძღვანელს გადახედოს კრედიტების განაწილების საკითხს, გაითვალისწინოს ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკა და შეცვალოს ცალკეული კურსის კრედიტების მოცულობა. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია მოცემული კურსების სწავლის შედეგებთან და აღწერს უმაღლესი განათლების სწავლების მეორე საფეხურის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი – მემორანდუმები მონაცემთა ბაზებით სარგებლობის შესახებ – სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელები პერსონალის გამოკითვის შედეგები – ელ.-პორტალი: http://nexus.gruni.ge/student/usertable.php;
რეკომენდაციები: ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნას აღნიშნული კურსის სპეციფიკა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის კურუკულუმი და ცალკეული დისციპლინების სილაბუსები ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს.

პროგრამის სტრუქტურა ითვალიწინებს პრაქტიკული კომპონენტის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში, რომლის მიზანია სტუდენტებმა საქმიან ურთიერთობებში გამოიყენონ აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, განავითარონ და გააფართოვონ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრების შესახებ მიღებული ცოდნა და შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირება.

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ როგორც პრაქტიკის ობიექტის ფუნქციონირების ზოგად სპეციფიკას, ასევე იმ კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირებისა და მართვის თავისებურებებს, სადაც იქნება სტუდენტი მიმაგრებული; პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია აწარმოოს პრაქტიკის დღიური, მისი ყოველდღიური საქმიანობისა და შესრულებული ფუნქციების აღწერით კონკრეტული თარიღების გათვალისწინებით. პრაქტიკის შედეგები უნდა აისახოს პრაქტიკის ანგარიშში, რომლის დაცვაც ხდება წინასწარ განსაზღვრულ დროს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ გადამოწმდა პრაქტიკის ანგარიშის და პრაქტიკის დღიურის რამდენიმე ეგზემპლარი, რითაც დასტურდება, რომ თვითშეფასებაში აღნიშნულ პუნქტში ასახული მასალები ასახავს რეალობას.

თვითშეფასების ჯგუფის დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ჰყავს დამსაქმებლების საკმაოდ დიდი რაოდენობა, მათ შორის არსებობს თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა და მზად არიან გრძელვადიან პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოებში ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან.

მაგისტრანტებმა ექსპერთთა ჯგუფთან შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ მათ მიერ უნივერსიტეტში სწავლის დროს მიღებული პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარები აკმაყოფილებდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამტავრებულთა აბსოლუტური უმრავლესობა არის დასაქმებული, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღვის უნივერსიტეტში მიღებულ კომპეტენციებს.

რაც შეეხება სამეცნიერო მუშაობას - უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება

სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციები. უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ყველა კონფერენციაზე წარედგინება სტუდენტთა თეზისები, რომელთაგან წარმატებული მოხსენებები იბეჭდება უნივერსიტეტის მიერ. საანგარიშო პერიოდში ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის 8 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. მათი ნაშრომები დაბეჭდილია კონფერენციის კრებულებში. პროგრამა სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად. ამ მხრივ, პროგრამის მნიშვნელოვან ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს პროგრამაში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკა საფინანსო, სადაზღვევო, ენერგეტიკის, სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებში, საშუალო და მცირე კომპანიებში. პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პროფესიული პრაქტიკა გაიარონ ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, აუდიტორული კომპანია ,,აუდიტესკორტი", საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, საქართველოს ბანკების ასოციაცია, სს შატო მუხრანი, სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაცია სასტუმრო რადისონ ბლუ ივერია, შპს Trippoin, სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ცენტრი და ა.შ. გარდა, ამისა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის სტუდენტებს უწევენ დახმარებას, სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებში წარსადგენად კვლევითი პროექტების მომზადებაში. პროგრამაში შემავალი სავალდებულო სასწავლო კურსები ითვალისწინებს კვლევით პროექტებზე (ინდივიდუალური ან/და გუნდური), ანალიტიკური რეფერატებზე, რეპორტებზე, სიტუაციური ამოცანებზე, ქეისებზე ინტენსიურ მუშაობას, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში სამეცნიერო/კვლევითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. გარდა ამისა, პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პროგრამის ფარგლებში აირჩიონ ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი ,,მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობა", რომელიც სრულად არის დაფუძნებული ჰარვარდის ბიზნესის სკოლის კონკურენციის ინსტიტუტის (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის სკოლა არის აფილირებული წევრი ამავე ინსტიტუტის) ესკლუზიურ სასწავლო მასალებზე, უპირატესად ქეისებზე და ხელს უწყობს სტუდენტებში ანალიტიკური, კვლევითი უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა – პროგრამის განვითარების სტრატეგია – სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების კრებულები (ფაქტობრივი მდგომარეობა) – ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა – პროგრამის განვითარების სტრატეგია – სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების კრებულები (ფაქტობრივი მდგომარეობა)
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააგანმანათლებლო პროგრამის თითეული საწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურთან და კურსის შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში სწავლისა და სწავლების პროცესში გამოიყენება: ლექცია, სემინარი, ელექტრონული სწავლებისაა და დირექტიული სწავლების მეთოდები.

ლექციები - ძირითადად ატარებს ინტერაქტიურ და საპრეზენტაციო ხასიათს, რაც გადაცემული ინფორმაციის გაგების ხარისხზე ლატენტური მონიტორინგისა და შესაბამისად, ლექციის მსვლელობის პროცესშივე აქცენტების შეცვლისა და პედაგოგიური სტრატეგიის კორექციის საშუალებას იძლევა. ლექციების ფორმატში გაითვალისწინება, აგრეთვე, დარგის სპეციალისტის ლექცია.

სემინარი - სემინარულ მეცადინეობებზე სტუდენტი ამჟღავნებს ლექციაზე გადაცემული მასალის სიღმისეულ ცოდნას, პასუხობს დასმულ შეკითხვებს, ერთმანეთთან

აკავშირებს თემის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემატურ საკითხებს, ახდენს ინფორმაციის გაცვლას, განსხვავებული მიდგომების და მოსაზრებების ფორმირებას, ჩართულია გუნდის მუშაობის პროცესში და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს, რაც მიიღწევა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით: დისკუსია; არგუმენტირებული ესსე, ანალიტიკური რეფერატი, ინდივიდუალური და გუნდური კვლევითი პროექტები, რეპორტების მომზადება-განხილვა-პრეზენტაციები და ა.შ.

პრაქტიკული მეცადინეობა - მოიცავს ქეისებზე, სიტუაციურ ამოცანებზე და სხვა პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოების ამოხსნაზე მუშაობას. სიტუაციური მოდელირების დროს სტუდენტები ეუფლებიან პროფესიულ უნარ-ჩვევებს რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც თეორიული ცოდნის გამყარებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ეფექტურ საშუალებას იძლევა.

ელექტრონული რესურსით სწავლება - გულისხმობს პროფესორთან კონსულტაციას, ფორუმის ნექსუსის გამოყენებით და სპეციალური საჭიროების მქონე/უნარშეზღუდული სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტში გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასწავლო მასალის მიწოდებას, ახსნას, საშინაო დავალების მიღებასა და შეფასებას.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული დირექტიული სწავლების მეთოდი, გულისხმობს სტუდენტის მიერ, დამოუკიდებლად, საშინაო დავალებების ფორმატში ესსეებზე, რეფერატებზე, პროექტებზე, სავარჯიშოებზე, სიტუაციურ ამოცანებზე, ქეისებზე, რეპორტებზე და სხვა გარკვეული კვლევითი სამუშაოს შესრულებას პედაგოგთან კონსულტაციების გარეშე, რაც ხელს უწყობს საჭირო წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, გაანალიზების და კვლევითი ნაშრომის წერის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ვინაიდან უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სწავლების ელექტრონული სწავლების მეთოდს, განსაკუთრებით ბათუმში სასწავლო პროცესის ორგანიზაციის დროს. ექსპერტთა ჯგუფის წევრების ინტერესს წარმოადგენდა დაედგინა რამდენად ეფექტური იყო სწავლის აღნიშნული ფორმა. სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ სწავლკების აღნიშნული ფორმა უზრუნველყოფდა პროგრამის შედეგებზე გასვლას. გარდა ამისა, ბათუმში ვიზიტის დროს მოხდა ელექტრონული სწავლების ფორმატში საცდელი ჩართვის განხორციელება. უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და მატერიალური რესურსი (კომპიუტერული ტექნიკით აღწურვილი აუდიტორიები, დენის დამატებითი წყაროები და სხვა) სწავლების აღნიშნული ფორმის ეფექტური გამოყენების თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ ასევე გადამოწმებული იქნა რამოდენიმე სამაგისტრო ნაშრომი, რომლებიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მიმართულია კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრულ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია მრავალკომპონენტიანი და მრავალდონიანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ობიეტური შეფასების შესაძლებლობას. შეფასების სისტემის შედგენის და მისი შემდგომი გაუმჯობესების პროცესი ეყრდნობა სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელისათვის შემუშავებულია მარეგულირებელი დოკუმენტების პაკეტი, რომლის მიხედვითაც პერსონალს უადვილდება სწავლის შედეგების გაზომვისათვის შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა. სტუდენტის ინფორმირებულობა თითოეულ საგანმანათლებლო კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდების, წყაროებისა და კრიტერუმების შესახებ დეტალურად არის ასახული შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც ხელმისაწვდომია გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის საგანმანათლებლო

პროცესების მართვის საუნივერსიტეტო სისტემის - Nexus - მეშვეობით. უნივერსიტეტის ვებ გვერდიდან, სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, აქვეა განთავსებული აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა ნექსუსი, რომლის საშუალებითაც სტუდენტს შეუძლია თვალყური ადევნოს საკუთარი სწავლის პროცესს. სისტემით სარგებლობისთვის საჭიროა რეგისტრაციის და ავტორიზაციის გავლა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს: დაათვალიეროს და ამობეჭდოს საანკეტო მონაცემები (სტუდენტის ანკეტა); გაეცნოს და ამობეჭდოს შეფასებები კურსების მიხედვით; თავად აირჩიოს საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები; გაეცნოს და ამობეჭდოს აკადემიურ პროგრამაში არსებული სილაბუსები; პერიოდულად შეცვალოს სისტემაში შესასვლელი პაროლი; დაათვალიეროს და ამობეჭდოს აკადემიური ცნობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: გავლილი დისციპლინების და შესაბამისი შეფასებების და დაგროვილი და დარჩენილი კრედიტების შესახებ. დამატებით მათ შეუძლია გაიარონ კონსულტაცია საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან და ცალკეული სასწავლო კურსის ლექტორთან. აღნიშნული სისტემა, ერთი მხრივ, არწმუნებს სტუდენტს შეფასების ობიექტურობაში, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს კრიტიკულ თვითშეფასებას, საკუთარი სწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, სათანადო დასკვნების გაკეთებას, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები – ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა – სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი – ელ. პორტალი: http://nexus.gruni.ge/student/usertable.php
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ ელექტრონული ბაზებიდან და ინდივიდუალური კონსულტაციების გზით. ამავდროულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები ადმინისტრაციასთან. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროფესორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და ბიბლიოთეკასთან უწყვეტ რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია და ისინი მარტივად იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. (მაგ.: ელ. მასალებზე წვდომა, პროგრამის დაგეგმვა, სიახლებზე წვდომა და ა.შ). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დაინტერესებულია სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით და სათანადო რეაგირების

საკითხით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. უნივერსიტეტი თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებტან. ავითარებს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან გაცვლით პროგრამებში და კონფერენციებში მონაწილეობისათვის. სტუდენტებს დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელების საშუალება ეძლევათ, ისინი ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა ტიპის კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებს, რაშიც აქტიურად არიან ჩართულები უნივერსიტეტის სტუდენტები. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას სტუდენტები აღნიშნავდნენ პროგრამაში უცხოელი ლექტორების ჩართვის საჭიროებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ დებულება - „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტური მხარდაჭერისა და სერვისის სამსახურის“ ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვებ-საიტი - http://gruni.edu.ge/ ○ საუნივერსიტეტი ბაზა NEXUS
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გაფართოვდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესები და გაიზარდოს მოწვეული უცხოელი ლექტორების საჯარო ლექციები და პროგრამაში ჩართულობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსი - სამაგისტრო ნაშრომი/დისერტაცია არის წერითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც სტუდენტმა უნდა შეასრულოს აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს და დაიცვას საატესტაციო კომიტეტის ღია სხდომაზე, პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისების შემდეგ; ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი აკადემიური სკოლის მიერ გამოყოფილი/შერჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან. სტუდენტს ასევე შეუძლია დეკანატს განსახილველად შესთავაზოს სხვა კანდიდატურა, მისი საკვალიფიკაციო თემის სპეციფიკიდან გამომდინარე. მეცნიერ-ხელმძღვანელის ფუნქციები და სამაგისტრო ნაშრომის/დისერტაციის სტრუქტურა გაწერილია უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით. სამაგისტრო ნაშრომის/დისერტაციის თემატიკიდან გამომდინარე სტუდენტს საშუალება ეძლევა აირჩიოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- „მაგისტრატურის დებულება“
- ინტერვიუ სამაგისტრო ნაშრომის/დისერტაციის ხელმძღვანელებთან
- სამაგისტრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და

გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო პროგრამის აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის საფუძველზე. უმეტესი მათგანი პერმანენტულად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო და კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში, მათ მიერ განხორციელებული კვლევების შედეგები ქვეყნდება საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. 7 პროფესორი (მათ შორის 7 აფილირებული), 6 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის 5 აფილირებული), 1 ასისტენტი (აფილირებული), 7 მოწვეული პროფესორი და 7 მოწვეული მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში პერსონალის სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შერულებას, კერძოდ, სასწავალო პროცესის წარმართვას, სამეცნიერო - კვლევით საქმიანობას, სტუდენტების კონსულტირებას და ა.შ. პროგრამის მდგარდობა უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანაფარდობით, კერძოდ, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით 14/14, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი 14 აკადემიური პერსონალიდან 13 აფილირებულია უნივერსიტეტთან. ბიზნესის ადმინისტრირება სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, რომელიც უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და ფლობს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას. პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე 8 ადმინისტრაციული და 81 დამხმარე პერსონალით. გამოკითხული სტუდენტები კმაყოფილებას გამოხატავენ აკადემიური პერსონალის მხრიდან დახმარების მზაობისა და მისაწვდომობის თაობაზე. აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სერვისების გარდა, უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს შესაძლებლობას ჩაერთონ სპორტულ, კულტურულ და სოციალურ აქტივობებში. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილია დასაქმებული ექთნის მიერ, ხოლო სამედიცინო დახმარების ცენტრში პირველადი დახმარების საშუალებები და მედიკამენტები ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტირების სამაგისტრო პროგრამა ○ პროგრამის განმახორციელები აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები ○ პროგრამის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის პირადი საქმეები ○ უნივერსიტეტის წესდება საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის რეგულირების შესახებ (დანართი 4.1.4) ○ სტრუქტურული ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობის წესი ○ პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია ○ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gruni.edu.ge/school_personnel/index/1442824984/1444384319 ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს პერსონალის დატვირთვის სქემა და ინდიკატორები, თვითშეფასებისა და სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები, რომლის მიხედვით, სამსახური, რეგლამენტის შესაბამისად, ახორციელებს აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგს, შეისწავლის პერსონალის კმაყოფილების ხარისხს, ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას პროფესორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო საქმიანობისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით. აანალიზებს მიღებულ შედეგებს აკადემიურ და სამეცნიერო კომიტეტებში, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ადგენს განვითარების საჭიროებებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების მართვისა და საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი, რომელიც ზრუნავს უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე. გამოკითხული აკადემიური პერსონალი კმაყოფილებას გამოხატავდა მათი პროფესიონალური განვითარების კუთხით უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობებისა და მხარში დგომის თაობაზე. უნივერსიტეტი აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს ყოველწლიურად სთავაზობს სალექციო კურსების, რიდერების, სტატიების უფასო ბეჭდვასა და გამოქვეყნებას უნივერსიტეტის აკადემიურ მაცნეში. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია გარკვეული სახსრები აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობისათვის. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო რეფერირებად, ინდექსირებად ქართულ და უცხოენოვან ჟურნალებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის დატვირთვის სქემა და ინდიკატორები ○ პერსონალის დატვირთვის მაჩვენებელი ○ პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები ○ უნივერსიტეტის წესდება ○ ანგარიში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესახებ

- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო პროცესისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი კომფორტული შენობები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. კერძოდ, კეთილმოწყობილია აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, სასწავლო ოთახები უზრუნველყოფილია შესაფერისი აღჭურვილობით (მაგ.: სტუდენტებისა და ლექტორების აღმრიცხველი აუდიტორიებში, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.), საკონფერენციო დარბაზები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

უნივერსიტეტს ასევე გააჩნია კეთილმოწყობილი ღია სივრცეები პერსონალისა და სტუდენტებისათვის, სპორტული მოედანი, კაფეტერია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ლიტერატურით. უნივერსიტეტი არის რამდენიმე სამეცნიერო ელექტრონული ბიბლიოთეკის რეგისტრირებული წევრი. მიუხედავად იმისა, რომ საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა ძირითადად ხდება ელექტრონულად, მატერიალური წიგნების მოცულობა და საკითხავი ფართობი საკმარისადაა წარმოდგენილი.

ბიბლიოთეკაში სტუდენტების პირველადი დარეგისტრირების შემდგომ ისინი მთელი სწავლის პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილნი არიან ბიბლიოთეკაში არსებული მასალებით. საბიბლიოთეკო ფონდი მუდმივად განახლებადია და აკადემიური პერსონალი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მათ მიერ მოთხოვნილი ახალი წიგნებით შევსების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

დაწესებულების რესურსების ადეკვატურობა ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან მოწმდება სტუდენტთა უკუგებისა და დაკვირვების შედეგებით. სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია ამ რესურსებზე წვდომა, რაც გამოიხატება უფასო საბიბლიოთეკო მომსახურებით, მათ შორის, ელექტრონული ბიბლიოთეკით, ასლგადამღები ტექნიკით, ინტერნეტით. უნივერსიტეტში

სასწავლო მასალების ვიზუალიზებისათვის გამოიყენება თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან ელექტრონული პორტალის Nexus მომსახურებით, რომელიც უზურნველყოფს სტუდენტთა აკადემიური პროცესის ინფორმაციულ მართვას. სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ პარტნიორი ორგანიზაციების კვლევით მასალებთან და ბაზასთან. სტუდენტებს, უნივერსიტეტში სწავლის მთელი დროის განმავლობაში აქვთ აღნიშნული რესურსებით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და ტექნიკური აღჭურვილობის ფაქტობრივი მდგომარეობა ○ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართვის დოკუმენტი ○ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ○ ვიზუალური კვლევა, გამოკვლევა ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ○ ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსების) საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის ადმინისტრაციამ წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტის ფინანსური ანალიზი, რომელიც აჩვენებს პროგრამის მიმდინარე მდგრადობას. კერძოდ, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც იძლევა პროგრამის განვითარების, მისი საჭიროებების ადექვატური რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვის, გადამზადების, გაცვლითი პროექტების განხორციელებისა და საინვესტიციო დანახარჯებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელების მოქნილ შესაძებლობას. რექტორის ბრძანებით ყოველწლიურად მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირება სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ უნივერსიტეტის მარკეტინგის გააქტიურება უფრო მიმზიდველს გახდის პროგრამას სტუდენტებისათვის, რაც თავის მხრივ გაზრდის მის ფინანსურ მდგრადობას.
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ ა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი „დაგეგმე — განახორციელე — შეამოწმე — განავითარე". უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. კერძოდ, სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებს და ახდენს მათ მონიტორინგს. უნივერსიტეტში არსებობს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები, შეფასების კითხვარები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება გამოკითხვის პროცესში. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნვეოყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად;
ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ნაკლებადაა ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gruni.edu.ge/menu_content/index/335
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში უფრო აქტიურად იყვნენჩართული აკადემიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის ფარგლებში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები: კერძოდ, მეშვიდე სემესტრის დისციპლინა "ფინანსური აქტივების შეფასების საფუძველები" შეიცვალა დისციპლინით "ფინანსური აქტივების შეფასების საფუძველები 1". მერვე სემესტრის დისციპლინები "ფინანსური პორტფელის მართვა" და "წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები" გაუქმდა და მათ ნაცვლად შეისწავლება დისციპლინა "ფინანსური აქტივების შეფასების საფუძველები 2". ამოღებულ იქნა სწავლებიდან სასწავლო კურსები „ფინანსური პორტფელის მართვა" და „წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები", რომლებიც ჩანაცვლდა სასწავლო კურსით "ფინანსური აქტივების შეფასების საფუძველები 2" დისციპლინის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ქმნის მონიტორინგის ჯგუფს, რომლის წევრები ადგენენ, თუ რამდენად შესრულდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები, განხორციელდა თუ არა სასწავლო თემატიკა სრულად, პროგრამის საგანმანათლებლო შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იყო თუ არა შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდებით, სასწავლო და ადამიანური რესურსებით, აანალიზებენ დისციპლინის შეფასების მაჩვენებლებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, აგრეთვე, რეკომენდაციების შემუშავებისას, ითვალისწინებენ სტუდენტთა აკადემიურ

მოსწრებას, მობილობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგლამენტის შესაბამისად, ახორციელებს პროგრამის აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგს, შეისწავლის პერსონალის კმაყოფილების ხარისხს, ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას პროფესორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო საქმიანობისა და ზოგადად, სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით. აანალიზებს მიღებულ შედეგებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ადგენს განვითარების საჭიროებებს. ხარისხის შეფასების მიზნით უნივერსიტეტში შემუშავებულია შეფასების ფორმები, რომლითაც ხორციელდება პროფესორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო საქმიანობისა და სწავლა-სწავლების სისტემის შეფასება, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება, სასწავლო დისციპლინის შეფასება, სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობისათვის დახარჯული დროის განსაზღვრა, სასწავლო დისციპლინის კონტექსტის შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანამანათლებლო რპოგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოჩა თუთბერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

რომან მამულაძე

ბექა მარუაშვილი

დავით ბურჯანაძე